ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

ბრძანება:**ბ118. 118250368**

თარიღი:**05/02/2025**

წალკის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს წალკის მუნიციპალიტეტის მერიაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი (დანართი N1).

2. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ.N11) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ილია საბაძე

წალკის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი N1

წალკის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და უფლებამოსილი პირი

წალკის მუნიციპალიტეტის მერია

მისამართი: ქ. წალკა არისტოტელეს ქუჩა N22

ვებგვერდი: https://tsalka.gov.ge/

ელექტრონული ფოსტა: TSALKA.MERIA.@GMAIL.COM

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

მალვინა ძირკვაძე, ელექტრონული ფოსტა: maludzirkvadze@gmail.com

პერსონალურ მონაცემთა სუბიექტი

წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისათვის, მონაცემთა სუბიექტს წარმოადგენს განმცხადებელი/დაინტერესებული პირი და ასევე მისი წარმომადგენელი/მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი.

რა სახის ინფორმაციას ვამუშავებთ თქვენს შესახებ

ჩვენს მიერ დამუშავებული ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ჩამოთვლილი კატეგორიის მონაცემებს მათი დამუშავების მიზნის პროპორციული მოცულობით:

საიდენტიფიკაციო მონაცემები
სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, პირადობის ან/და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები, სქესი, მოქალაქეობა, დაბადების ადგილი, მისამართი(რეგისტრაციის და ფაქტობრივი, ფოტოსურათი, ხელმოწერის ნიმუში და სხვა).
დოკუმენტური
პირადობის მოწმობა, პასპორტი, დაბადების მოწმობა, მართვის მოწმობა,უცხოეთში მცხოვრები თანამემალულის მოწმობა, ბინადრობის მოწმობა, დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა, ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, ამონაწერი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და პიროვნების მაიდენტიფიცირებელი სხვა დოკუმენტი.

საკონტაქტო ინფორმაცია
მისამართი (იურიდიული და ფაქტობრივი), ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი და სხვა.
სოციო-დემოგრაფიული ინფორმაცია

ინფორმაცია სამსახურის/პროფესიის, მოქალაქეობის, განათლების შესახებ, ასევე, ინფორმაცია სოციალური სტატუსის, შემოსავლების შესახებ და სხვა.

ოჯახური მდგომარეობის, ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაცია
ქორწინების მოწმობა, ოჯახის წევრების საიდენტიფიკაციო და დოკუმენტური მონაცემები, ინფორმაცია პირის გარდაცვალების თაობაზე, გარდაცვალების მოწმობა და სხვა.

ფინანსური ინფორმაცია
ინფორმაცია ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, შემოსავლებისა და ქონების შესახებ.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები

ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ადმინისტრაციული პატიმრობის, ნასამართლობის, ბრალდების შესახებ ინფორმაცია და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია რომელიც განეკუთვნება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს.

სავალდებულო მონაცემების დამუშავება

- ✓ მონაცემები, რომელთა დამუშავებას გვავალდებულებს კანონმდებლობა

რისთვის ვიყენებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს

- ✓ კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად მათ შორის ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო ან/და კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებული საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად;
- ✓ თქვენთან ურთიერთობისათვის, თქვენი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მუნიციპალური პროგრამების შესამუშავებლად, სერვისების მიწოდებისა და გაუმჯობესებისათვის;
- ✓ მუნიციპალური პროგრამებისა და ბიუჯეტის დასაგეგმად;
- ✓ კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებებისა და ვალდებულებების განსახორციელებლად;
- ✓ თქვენთვის მომსახურების გაწევის მიზნით.

მონაცემთა დამუშავების მიზანი

- ✓ მონაცემთა შექმნა, განახლება, მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება, ახალი სერვისების დანერგვა, ადგილობრიი ბიუჯეტის ეფექტურად დაგეგმვა, საჭიროებების განსაზღვრა, მოქალაქეთა ფოკუს და მოწყვლადი ჯგუფების განსაზღვრა და მუნიციპალური პროგრამებით გათვალისწინებული სერვისების ბენეფიციართათვის მიწოდება;
- ✓ ჩვენთვის კანონმდებლობით ან და ხელშეკრულებით დაკისრებული უფლებებისა და მოვალეობების ეფექტურად შესრულება;
- ✓ აუცილებელი მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვა;

- ✓ მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვისათვის ;

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

მონაცემთა დამუშავება დასაშვებია თუ:

- ✓ არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;
- ✓ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- ✓ მონაცემთა დამუშავება საჭიროა მერიისთვის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად;
- ✓ მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;
- ✓ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის (მერიის) ან მესამე პირის კანონიერი ინტერესის დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
- ✓ კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა;
- ✓ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების დასაცავად;
- ✓ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად);
- ✓ იმისთვის, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავებას საფუძვლად დაედოს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, აუცილებელია ეს თანხმობა :
- ✓ ა) იყოს ნებაყოფლობითი;
- ✓ ბ) გამოხატული იყოს წინასწარ მონაცემთა დამუშავებამდე;
- ✓ გ)გამოხატული იყოს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების შემდეგ;
- ✓ დ)გამოხატული იყოს კონკრეტული მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზანი მონაცემთა დამუშავებაზე;
- ✓ ე)გამოხატვის საშუალება იყოს ნათელი, რომლითაც დგინდება მონაცემთა სუბიექტის ნება.
- ✓ ვიდეომონიტორინგის სისტემის გამოყენება ხორციელდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების, პირის უსაფრთხების, საკუთრების დაცვის, არასრულწლოვანის დაცვის(მათ შორის მავნე ზეგავლენისგან დაცვის) დანაშაულის თავიდან აცილებისა პრევენციის, ასევე სხვა საჯარო და ლეგიტიმური ინერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესრულების მიზნებისათვის.

- ✓ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება მხოლოდ თქვენი წერილობითი თანხმობით ან/და იმ შემთხვევაში თუ მისი დამუშავება რეგულირდება კანონით და მათი დამუშავება აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში
- ✓ სხვა კანონიერი საფუძვლის არსებობისას

წყაროები საიდანაც მოვიპოვებთ პერსონალურ მონაცემებს

თქვენს შესახებ პერსონალური ინფორმაციის მოპოვება შეგვიძლია თქვენს მიერ მოწოდებული ან ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან.

თქვენგან მონაცემების მიღება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ✓ როდესაც მოგვმართავთ განცხადებით/საჩივრით მომსახურების მისაღებად ან/და უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად;
- ✓ სატელეფონო კომუნიკაციისას ან მერიის ადმინისტრაციულ შენობაში ვიზიტისას;
- ✓ გვიგზავნით წერილებს ფოსტის მათ შორის ელ-ფოსტის ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით;
- ✓ თქვენი თანხმობის შემთხვევაში თქვენს პერსონალურ მონაცემებს შეგროვება შეიძლება განვახორციელოთ სხვა საჯარო და კერძო დაწესებულებებიდან მათ შორის სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული ბაზიდან.

რა შემთხვევაში ვუზიარებთ თქვენს მონაცემებს მესამე პირებს

კანონმდებლობით ან და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას თქვენი მონაცემები შესაძლოა გავუზიაროთ:

- ✓ თქვენს წარმომადგენელს/კანონიერ წარმომადგენელს;
- ✓ კანონმდებლობით განსაზღვრულ ორგანოს მათ შორის სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას;
- ✓ გარიგების მონაწილე მხარეს;
- ✓ სხვა მესამე პირს თქვენი თანხმობით;
- ✓ ჩვენ შესაძლოა თქვენი მონაცემები გავაზიაროთ სხვა სახელმწიფოში, თუ არსებობს მონაცემთა დამუშავების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლები და შესაბამის სახელმწიფოში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის სათანადო გარანტიები.
- ✓ თუ თქვენს მონაცემებს გადავცემთ ისეთ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები, მერია უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა გადაცემის შესახებ შეთანხმების გაფორმებას, რომელიც უზრუნველყოფს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად პერსონალურ მონაცემების სათანადო დაცვას;

- ✓ თქვენი მონაცემების სათანადოდ დაცვის მიზნით, მესამე მხარისათვის თქვენი პერსონალური მონაცემების გადაცემამდე ჩვენ ვამოწმებთ მათ მიერ მიღებულია თუ არა მონაცემთა დასაცავად შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები.

თქვენ უფლება გაქვთ

- ✓ მიიღოთ ინფორმაცია თქვენს შესახებ დამუშავებული მონაცემების თაობაზე, კერძოდ, რა მონაცემები მუშავდება, რა არის მათი დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, ასევე ინფორმაციას მონაცემთა შეგროვების წყაროს შესახებ;
- ✓ გაეცნოთ თქვენს შესახებ წალკის მუნიციპალიტეტის მერიაში დაცულ მონაცემებს და მიიღოთ თქვენი პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების/ჩანაწერების ასლები კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ✓ მოითხოვოთ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება

მოითხოვოთ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან და განადგურება თუ:

- ✓ გაითხოვთ თანხმობას, რომელიც წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების ერთადერთ საფუძველს;
- ✓ მონაცემების დამუშავება აღარ არის საჭირო იმ მიზნისთვის, რომლისთვისაც მოხდა მათი დამუშავება;
- ✓ მონაცემთა დამუშავება ხდება უკანონოდ.

მოითხოვოთ მონაცემთა დაბლოკვა, თუ

- ✓ სადავოა მონაცემთა ნამდვილობა ან სიზუსტე;
- ✓ მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა თქვენ არ გსურთ მათი წაშლა;
- ✓ მონაცემები აღარ არის საჭირო მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად;
- ✓ მიმდინარეობს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების მოთხოვნის განხილვა;
- ✓ არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა
- ✓ ნებისმიერ დროს გაითხოვოთ/უარი თქვათ მონაცემთა დამუშავების თაობაზე თქვენს მიერ გაცემულ თანხმობაზე და მოითხოვოთ მის საფუძველზე დამუშავებული მონაცემის წაშლა. ჩვენ შევწყვეტთ მონაცემთა დამუშავებას ან წავშლით უკვე დამუშავებულ მონაცემებს, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი;
- ✓ თუ მონაცემთა დამუშავების საფუძველს წარმოადგენს თქვენი თანხმობა და ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მოითხოვოთ თქვენ მიერ მერიისთვის მიწოდებული პერსონალური მონაცემების პორტირება ანუ სტუქტურიზებული, გამოყენებადი და ელექტრონული ფორმით მიღება ან მათი სხვა დამმუშავებლისთვის გადაცემა;
- ✓ ავტომატიზირებული საშუალებებით თქვენ შესახებ ისეთი გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც თქვენთვის წარმოშობს სამართლებრივ, ფინანსურ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის შედეგს, მოითხოვოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანური რესურსის ჩართულობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ავტომატიზირებული საშუალებებით მონაცემთა დამუშავება ხორციელდება თქვენი თანხმობით ან/და აუცილებელია ხელშეკრულების დასადებად/შესასრულებლად ან გათვალისწინებულია კანონით;

- ✓ თქვენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოთ მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს და/ან სასამართლოს.

თქვენი უფლებების შეზღუდვა

თქვენი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ მათი რეალიცაზია საფრთხეს უქმნის:

- ✓ სახელმწიფო, კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საჯარო წესრიგს;
- ✓ დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას,პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას და პრობაციას ან ოპერატიულ სამძებრო საქმიანობას;
- ✓ ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ფინანსურ და ეკონომიკურ(მათ შორის მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;
- ✓ პროფესიული, მათ შორის რეგულირებადი პროფესიის, ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენასა და პასუხისმგებლობის დაკისრებას;
- ✓ მონაცემთა სუბიექტის ან/და სხვა პირების უფლებებსა თავისუფლებებს, მათ შორის გამოხატვის თავისუფლებას;
- ✓ სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საიდუმლოს დაცვას;
- ✓ სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთებას.

მონაცემთა უსაფრთხოების დაცვა

- ✓ ჩვენ ვახორციელებთ თქვენს შესახებ დამუშავებულ მონაცემების შენახვას კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით ვუზრუნველყობთ პერსონალური მონაცემების დაცვის ფიზიკურ, ტექნიკურ და ორგანიზაციულ გარანტიებს. ჩვენ ვიცავთ ჩვენი ელექტრონული მოწყობილობების, ფაილების მათ შორის მატერიალური სახით წარმოდგენილი დოკუმენტების, უსაფრთხოებას, აგრეთვე შემუშავებული გვაქვს ფიზიკური, ელექტრონული და პროცედურული კონტროლის მექანიზმები, რათა დავიცვათ თქვენი მონაცემები არაავტორიზირებული წვდომისგან, გამოყენებისგან, გადაცემისგან, დაკარგვისგან ან განადგურებისგან;

- ✓ ჩვენი თანამშრომლები იცავენ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების პოლიტიკასა ასევე კანონმდებლობითა და შიდა რეგულაციებით გათვალისწინებულ უსაფრთხოების ზომებს.

გასაჩივრების უფლება

- ✓ მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს მერიას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან/და სასამართლოს

ცვლილებები

- ✓ ჩვენ, შესაძლოა, აღნიშნულ დოკუმენტში პერიოდულად შევიტანოთ ცვლილებები. განახლებული დოკუმენტი ცვლილებების თარიღის მითითებით გამოქვეყნდება ჩვენს ვებგვერდზე.